პროექტი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2024 წლის ---- აგვისტო

ქ. ბათუმი

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 11/03/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132.016204) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ს მე-4 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 მუხლი:

„მუხლი 4^1. მიკედლებული ცხოველის რეგისტრაცია და მონაცემთა ბაზის წარმოება

1. ცხოველის რეგისტრაციას მიკედლებულის სტატუსის მინიჭების მიზნით, ახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ან ცხოველთა თავშესაფრები, მიმკედლებლის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე ამ წესით დადგენილი პირობებით.

2. მიმკედლებელი ვალდებულია მოახდინოს ცხოველის რეგისტრაცია, რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობიდან ერთი თვის ვადაში.

3. რეგისტრაციას, ცხოველის მიკედლების ფაქტის დადგენის მიზნით, ექვემდებარება მიმკედლებლის ფაქტიური მეთვალყურეობის ქვეშ არსებული არარეგისტრირებული ცხოველი.

4. რეგისტრაციისას გაიცემა სარეგისტრაციო მოწმობა, ასევე ივსება ცხოველთა ახალი სარეგისტრაციო და ჩატარებული პროცედურების შესახებ მონაცემები, რომლის ფორმებსაც ამტკიცებს ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“. ცხოველს ენიჭება

სარეგისტრაციო მოწმობის ნომრის შესაბამისი პირადი ნომერი. სარეგისტრაციო მონაცემების შეცვლისას, რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების შეტანას სარეგისტრაციო მონაცემებში.

5. ცხოველის მიმკედლებელი პასუხისმგებელია ცხოველის ჯანმრთელობაზე, მოვლა-პატრონობაზე და მის კეთილდღეობაზე, ასევე სხვა ადამიანებისა და ცხოველების მიმართ საკუთარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებაზე.

6. ცხოველის აგრესიის ან/და შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში მიმკედლებელი ვალდებულია მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს ცხოველის თავშესაფარში გადაყვანის და შემდგომი პროცედურების ჩატარების მიზნით. ამ წესის დარღვევისთვის გატარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებით დამტკიცებულ „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესში“ ცვლილების შეტანის მიზანია დადგენილების სრულყოფა და ამ მიზნით წესს ემატება მუხლი 4^1 - მიკედლებული ცხოველის რეგისტრაციისა და მონაცემთა ბაზის წარმოების შესახებ.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით ცვლილება შედის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებით დამტკიცებულ „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესში“ და წესს ემატება შემდეგი შინაარსის მუხლი 4^1:

„მუხლი 4^1. მიკედლებული ცხოველის რეგისტრაცია და მონაცემთა ბაზის წარმოება

1. ცხოველის რეგისტრაციას მიკედლებულის სტატუსის მინიჭების მიზნით, ახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ან ცხოველთა თავშესაფრები, მიმკედლებლის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე ამ წესით დადგენილი პირობებით.

2. მიმკედლებელი ვალდებულია მოახდინოს ცხოველის რეგისტრაცია, რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობიდან ერთი თვის ვადაში.

3. რეგისტრაციას, ცხოველის მიკედლების ფაქტის დადგენის მიზნით, ექვემდებარება მიმკედლებლის ფაქტიური მეთვალყურეობის ქვეშ არსებული არარეგისტრირებული ცხოველი.

4. რეგისტრაციისას გაიცემა სარეგისტრაციო მოწმობა, ასევე ივსება ცხოველთა ახალი სარეგისტრაციო და ჩატარებული პროცედურების შესახებ მონაცემები, რომლის ფორმებსაც ამტკიცებს ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“. ცხოველს ენიჭება სარეგისტრაციო მოწმობის ნომრის შესაბამისი პირადი ნომერი. სარეგისტრაციო მონაცემების შეცვლისას, რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების შეტანას სარეგისტრაციო მონაცემებში.

5. ცხოველის მიმკედლებელი პასუხისმგებელია ცხოველის ჯანმრთელობაზე, მოვლა-პატრონობაზე და მის კეთილდღეობაზე, ასევე სხვა ადამიანებისა და ცხოველების მიმართ საკუთარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებაზე.

6. ცხოველის აგრესიის ან/და შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში მიმკედლებელი ვალდებულია მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს ცხოველის თავშესაფარში გადაყვანის და

შემდგომი პროცედურების ჩატარების მიზნით. ამ წესის დარღვევისთვის გატარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები.“.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“
სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური
რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლ.მამულაძე